
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 15 (247) გამოცემის მე-14 წელი
საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● 1970 წლის 14 აგვისტო

გამოცდები,







რეპორტაჟი

□

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წინ ხალხმრავლობაა. ყოველ აბიტურიენტზე რამდენიმე გულშემატკივარი მოდის, სტუდენტისათვის განკუთვნილ თითოეულ ადგილზე კი 4, 5, და არც ისე იშვიათად, 6 კაცი აცხადებს პრეტენზიას...

ახლა ხშირად გაიგონებ — რა ქნა, ჩააბარა გამოცდა?.. რა მიიღო?.. ამ კითხვებმა ჩვენც დაგვაინტერესა და მათ კვალს ადევნებულნი, დედაქალაქის უპირველეს უმაღლეს სასწავლებელს — თბილისის უნივერსიტეტს მივადექით.

კარის უცვლელმა დარაჯმა პაპა ევტიხიმ ხუთიანი გვისურვა, შემდეგ, რომ გაიგო, აბიტურიენტები არ ვუყავით, კეთილი სიტყვის გარეშე მაინც არ გაგვიშვა. გვირჩია, აქ გაჩერდით, თუკი ვინმე ხუთიანს მიიღებს, მე რომ არ მითხრას, ისე არ წავაო.

გავიდა რამდენიმე წუთი და პაპა ევტიხი უკვე ხელს ართმევს „ხუთიანის" პირველ მფლობელს სოლომონ ვარდოშვილს. როდესაც მის საგამოცდო ფურცელში ჩავიხედეთ, ჰაბუკს კიდევ უფრო შევუქებთ მუყაითობა. მას წინა ორ გამოცდაშიც „ხუთები" მიეღო. თხუთმეტი შესაძლებლობიდან თხუთმეტი ჭეშ! ეს უკვე სერიოზული განაცხადია საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტობაზე.

მასპინძლობას უნივერსიტეტის პრორექტორი გურამ ჭილაშვილი გვიწევს. მასთან საუბარში ვიგებთ, რომ წლეულს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს 8060 კაცი აბარებს, ხოლო მისაღებია 2625, ასე რომ თითო ადგილზე სამ აბიტურიენტზე მეტი მოდის. ეს კი საკმაოდ ბევრია და პროფესორ-მასწავლებელთა დაძაბულ შრომას მოითხოვს, რათა შემთხვევითობა გამოირიცხოს და უნივერსიტეტში საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ჩაირიცხონ.

— ხართ თუ არა წლევანდელ აბიტურიენტთა ცოდნით კმაყოფილნი?

— ყოველწლიური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მომზადების საერთო დონე წლიდან წლამდე იზრდება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აბიტურიენტი 70 აბიტურიენტ 69-ზე უკეთეს ცოდნას ამჟღავნებს, — გვიხსნის ბატონი გურამი და დასძენს — ჯერ იყო და, თავიანთი ჭეშმარიტად კარგი მომზადებით ოქროსმედალოსნებმა გაგვახარეს. უმეტესობამ მაპროფილებელი საგანი „ფრიადზე" ჩააბარა და სხვა საგნებში გამოცდა აღარ დასჭირებია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მათ შორის, ვინც უკვე ჩავრიცხეთ უნივერსიტეტის სტუდენტად, ბევრია შორეული რაიონებიდან ჩამოსული ჰაბუკი და ქალიშვილი.

ვათვალიერებთ უკვე სტუდენტებად წოდებულთა სიას — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი, თბილისელი ქეთევან აბაშიძე, საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი, ზუგდიდელი ნუგზარ ცაგურია, კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, სოხუმელი ალექსანდრე შანგუა... მათი რიცხვი 144-ია, და ახლა პირველი ზარის მოლოდინში, თბილისის პაპანაქებას გარიდებულნი, მთებსა თუ ზღვის სანაპიროებზე ისვენებენ.

უნივერსიტეტში კი მისაღები გამოცდები გრძელდება. 250 პროფესორ-მასწავლებელი 4400 ქალიშვილისა და 3660 ჰაბუკის პასუხს ათასნაირად წონის და ზომავს. უსმენენ, შეკითხვებს აძლევენ... აბიტურიენტები კი ჰყვებიან ომებსა თუ რევოლუციის ქარიშხლიან დღეებზე, არჩევენ ვაჟა-ფშაველასა თუ ლევ ტოლსტოის შემოქმედებას, ხსნიან ამოცანებს, იყვანენ მაგალითებს... და სულგანაბულნი ელოდებიან განაჩენს, სამართლიანსა და მიუკერძოებელს. იგი ხშირად სიხარულის მომტანია, არც ისე იშვიათად კი— გულდასაწყვეტი. რას იზამ, ვინც უკეთ ისწავლა, ნიშანიც უკეთესი მიიღო.

— ოთხიანი მივიღე, ოთხიანი... გამოდის აუდიტორიიდან თვალგაბრწყინებული გოგონა და ცერით მოკეცილ ხელს გვიჩვენებს. გავეცანით. იგი სვანეთის მთების შვილი თინათინ ჩართოლანი აღმოჩნდა, გამოცდა კი ინგლისურ ენაში ჩააბარა. როგორ ფიქრობ, ოთხიანი საკმარისი იქნება კონკურსში გასასვლელი ქულების დასაგროვებლად? — ვეკითხები თინათინს.

— მე მგონი, ყოველ შემთხვევაში. თუ სხვა საგნებშიც ოთხებს მივიღებ, გარეთ არ დავრჩები...

ქალიშვილს წარმატება ვუსურვეთ, მაღლობა გადაგვიხადა და გარეთ დედისკენ გაიქცა.

აბიტურიენტ ნოდარ ბეთხოშვილს სურათი ჩვენმა ფოტორეპორტიორმა იმ დროს გადაუღო, ლექტორმა ოთარ ქარცივაძემ კიდევ ერთი ამოცანის ამოხსნა რომ დაავალა. ხელი რომ არ შეგვეშალა, გამომცდელსა და აბიტურიენტს უხმოდ გავეცალეთ. ახლაც არ ვიცით, რა ნიშანი მიიღო ნოდარმა იმ დღეს, თუ მაღალი, გულით ვუსურვებთ, თუ იმედი არ გაუმართლდა, ნუ დაღონდება. — განა ჩვენ ყველა პირველი გამოცდების ჩაბარებისთანავე გავხდით სტუდენტები?

— ის, რომ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე გამომცდელ მანქანებს აღარ ხმარობენ, ამაზე აჭაურ პროფესორ-მასწავლებლებს თავიანთი შეხედულება აქვთ.

— ველოდებით უფრო გონიერ მანქანებს, ის, რაც არის, არ გვაკმაყოფილებს, — თითქმის ერთხმად განაცხადეს მათ.

როგორც იტყვიან, სწავლულთ ჩვენგან არ ესწავლებათ. მანქანების მოწონება და დაწუნება მათი საქმეა. მთავარი გახლავთ, რომ წლების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიცია ახლაც გრძელდება, გამოცდები ძალზე ორგანიზებულად მიმდინარეობს და აბიტურიენტთა ცოდნაც ზუსტად ფასდება.

— ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს უნივერსიტეტის რადიოკვანძი, გაწვდით კიდევ ერთ სასიხარულო ცნობას. აბიტურიენტებმა გიორგი ჯორჯაძემ, ალექსანდრე შანგუამ, რევაზ ზეინაბაშვილმა გამოცდები „ხუთიანზე" ჩააბარეს, — აცხადებს დიქტორი და უნივერსიტეტის წინ თავმოყრილ გულშემატკივრებს სიხარულის ტალღამ გადაუკროლა. შემდეგ კი რადიო რამდენიმე წუთით დუმს. უზარ-ზეიმოდ გამოდიან უნივერსიტეტის კარებიდან იმნი, ვინც სამიანები მიიღო, ჩაჭრილებს კი თვალი ცრემლით ავსებიათ...

გამოცდები გრძელდება. გაივლის კიდევ რამდენიმე დღე და 1 სექტემბერს, კონკურსში გამარჯვებული 2625 ჰაბუკი და ქალიშვილი პირველ ლექციას მოისმენს. უნივერსიტეტის თხუთმეტსავე ფაკულტეტზე ეს ლექცია ერთსადაიმავე სიტყვებით დაიწყება — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჯანმრთელობას, კარგ სწავლასა და წარმატებებს გისურვებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ომარ მესხიშვილი





სურათებზე (ზემოდან ქვევით): პაპა ევტიხი ხუთიანს ულოცავს სოლომონ ვარდოშვილს; ნოდარ ბეთხოშვილს კიდევ ერთი ამოცანის ამოხსნა დაავალა ოთარ ქარცივაძემ; მორიგი გამოცდის შემდეგ; გულშემატკივართა ალყაში; ჩაიჭრა... სტუდენტობა მომავალ წლამდე გადაიდო.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ჩვენი ახალგაზრდობა



საქართველოს კომკავშირი ჩვენი ახალგაზრდობის ყველაზე მოწინავე, შეგნებული, ორგანიზებული რაზმია. იგი დიდი ძალაა, რომელიც თავის რიგებში ნახევარ მილიონ ჰაბუშსა და ქალიშვილს აერთიანებს.

ქართველმა კომკავშირელებმა გმირობისა და მამაცობის არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ერის ისტორიაში, მრავალჯერ ასახელეს სოციალისტური სამშობლო როგორც დიდი სამამულო ომის, ისე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტებზე.

ამ დღეებში გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტი ჯემალ ქურხული ეწვია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

● გთხოვთ „სამშობლოს“ მკითხველებს გააცნოთ ჩვენი ახალგაზრდობის საქმიანობა, წარმატებები.

— ერთობ ბევრის მომცველი კითხვაა. საიდან დავიწყო? ჩვენმა ახალგაზრდობამ კოლხეთის ჭაობიანი ველ-მინდვრები წალკოტად აქცია. მუშაობდნენ ხუთწლედების ახალმშენებლობებზე, ააშენეს ინდუსტრიული რუსთავი. ეს წინა თაობებმა. ჩვენ ავაშენეთ თბილისის მეტროპოლიტენი. ახლა ვაგებთ უნიკალურ და მსოფლიოში უდიდეს თაღოვან კაშხალს — ენგურჰესს.

საქართველოს 190 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერების განვითარების სხვადასხვა პრობლემაზე 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა მეცნიერი და 1.500 ასპირანტი მუშაობს.

ახალგაზრდა ჩვენი მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრებისა და კინოს მუშაკები ახალ-ახალი ნაწარმოებებით გვახარებენ.

სპორტსმენები? მარტო ტოკიოს, რომისა და მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობებზე ქართველმა ახალგაზრდებმა უთორო მეტი მედალი მოიპოვეს, ვიდრე კანადის, თურქეთის, მექსიკის, ავსტრიის, არგენტინის, ესპანეთისა და ირანის სპორტსმენებმა ერთად.

მიმოიხედეთ! განა დღეს რამე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე ახალგაზრდებად, უკომკავშირელოდ? განა ცოტას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ამ ორიოდე თვის წინათ ჩვენი რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად 17 ახალგაზრდა აირჩიეს?

● რა მიგაჩნიათ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდის მთავარ ღირსებად?

— სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, წინა თაობების პატივისცემა და მათი დამსახურების აღიარება, დიდი შრომისმოყვარეობა, რევოლუციის მონაპოვართა დაცვა-განმტკიცება.

● რას იტყოდით ნაკლზე?

— ყოველი ეპოქის, ყოველი საზოგადოების ახალგაზრდობას ჰქონია ნაკლი და. ეთიქრობ, არც ჩვენია ჯერ გამონაკლისი. მაგრამ სერიოზული, საერთო სენად გადაქცეული ნაკლი ნამდვილად არ გვახასიათებს.

● რა სჭირდება ყველაზე მეტად ჩვენს ახალგაზრდობას?

— მამა-პაპათა მიღწევების ღრმად შეთვისება. რევოლუციური, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით ათვისება და ასევე შემოქმედებითად გამოყენება. იმ უდიდეს შესაძლებლობათა უნარიანად გამოყენება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების დაუფლებისათვის არსებობს.

● იცავენ თუ არა ეროვნულ ტრადიციებს?

— სასარგებლო, მოწინავე ეროვნული ტრადიციების ერთგულება თვითონ ტრადიციად იქცა ჩვენში. ასეთ პრინციპებზე ხომ დიდად ერის დამოკიდებული შემდგომი წინსვლა. ამიტომ ახლანდელ თაობას, ჩვენს ქალიშვილებსა და ჰაბუკებს ამ ტრადიციების შემდგომი განვითარება და ერთგულება თავიანთი ღირსების საქმედ მიაჩნიათ.

● მათი დამოკიდებულება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი?

— ჩვენს ახალგაზრდებს უყვართ მშობლიური ლიტერატურა და ხელოვნება. განსაკუთრებით კლასიკოსებს ეწაფებიან და იცავენ მათი ფასი. ალბათ განსოვთ, როგორი გულმოდგინებით ემზადებოდნენ ისინი შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას იუბილეებისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას. ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები ხშირად არიან რესპუბლიკის დამკვრელურ მშენებლობებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კარგ ტრადიციად იქცა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკური შეკრებები, სადაც იხილავენ ბევრ აქტუალურ პრობლემას. რამდენიმე წლის წინათ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დაწესდა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიები, რომლის პირველი ლაურეატები არიან პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე, მხატვარი დიმიტრი ერისთავი, მწერალი მერაბ ელიოზიშვილი, კინორეჟისორები ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა. ეს საპატიო წოდება შემდგომში კიდევ რამდენიმე ნიჭიერმა ახალგაზრდა შემოქმედმა დაიმსახურა.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ახალგაზრდობა ლიტერატურასა და ხელოვნებას უყურებს როგორც სათავისოს, საკუთარი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყაროს.

● ჩვენი ქალიშვილებისა და ჰაბუკების შეხედულება ოჯახზე, ერის გამრავლებაზე?

— ჩვენი ხალხი ოდითგანვე იყო ცნობილი მტკიცე, მყარი ოჯახის პატივისცემით. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ყოველ 10.000 ოჯახზე განქორწინების პროცენტი ძალზე უმნიშვნელოა, ლაპარაკობს ჩვენი ახალგაზრდობის ოჯახისადმი ერთგულებაზე.

ამჟამად რესპუბლიკურ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები ერის გამრავლების თაობაზე. მსჯელობენ ახალგაზრდებიც, რომელთაც კარგად ესმით ამ პრობლემის დიდი მნიშვნელობა. მას ათასგვარად განიხილავენ, აქვთ თავიანთი აზრი, მოთხოვნები, მაგრამ, რაც მთავარია, პრინციპში ამ საკითხს სწორად უდგებიან.

● რას გვეტყვით ქართველი ახალგაზრდობის ხვალინდელ დღეზე?

— ჩვენ ვლაპარაკობთ ქართველი ახალგაზრდობის სასიცოცხლო ინტერესებზე, მათ ღირსებებზე, ეროვნული ტრადიციების ერთგულებაზე და იმაზე, თუ რა სჭირდება ყველაზე მეტად ჩვენს ახალგაზრდობას. ეი ძირითადად ეს მოტივები განსაზღვრავენ ქართველი ახალგაზრდობის უახლოეს მომავალსაც.

ერთიც ითქმის: როგორი ურწმუნონიც არ უნდა იყვნენ სკეპტიკოსები, თვითონ ცხოვრებამ მრავალგზის დაამტკიცა, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის სასარგებლო. შემოქმედებითი სიახლით მოდის და ამასვე გვპირდება საქართველოს ახალგაზრდობის ხვალინდელი დღეც.

საქართველო — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა 1970 წლის გამოფენის მონაწილე

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართული სოციალისტური შეჯიბრების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა 1970 წლის გამოფენის მონაწილედ.**

გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან **აჭარის ასსრ, ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ქალის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყაზბეგის, ხაშურის** რაიონები, 139 კოლმეურნეობა, 23 საბჭოთა მეურნეობა, ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ექვსი ათასზე მეტი მოწინავე.

გამოფენის მონაწილეებს გადაეცემათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მოწმობები. სუკეთესოებიდან დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და მედლებით, მიეღებენ ფულად პრემიებს.

ზედიზედ ოთხი წელიწადია, რაც ჩვენი რესპუბლიკა, როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე, გამოფენის პავილიონებსა და სტენდებზე უჩვენებს თავის მიღწევებს სოფლის მეურნეობაში, სოფლის მშრომელების მიერ შეძენილ მდიდარ გამოცდილებას.

საქართველოს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული აღნიშვნისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შალვა დავითის ძე კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხანაგი **შალვა დავითის ძე კიკნაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გიორგი ძოწენიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზინაიდა კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

31 ივლისს გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხანაგი შალვა დავითის ძე კიკნაძე გაათავისუფლა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხანაგი ომიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი.

სიყრმის სახელის გახსენება

— ჩემი სახელი და გვარი? ნოი მაკ ლევან, თუმცა, არა, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებისათვის ასე აჯობებს — ნოე ლევანის ძე კვაჭაძე.

— ორი სახელი და გვარი გაქვთ?

— რას იზამ, უცხოეთში უჭირთ ქართული სახელისა და გვარის გამოთქმა და იძულებული გავხდი ინგლისურ ენაზე მისი შესატყვისი გამომენახა.

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლოს ანჯელესიდან თბილისში სტუმრად ჩამოსულ ჩვენს თანამემამულე ბატონ ნოე კვაჭაძესთან. შემდეგ თავისი ქალიშვილი ელენე გამაცნო. სამწუხაროდ, ელენემ ქართული არ იცის და თარჯიმნობა მამამ იკისრა.

ბუნებრივია, როდესაც ასეთ კაცს ხვდები, ძალზე ბევრი რამ გინდა ჰკითხო. გაინტერესებს, როგორ მოხვდა იგი შორეულ ქვეყანაში, ვინა ჰყავს იქ და ვის სანახავად მოეშურებოდა აქეთ. რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამდენი ხნის უნახავმა სამშობლომ...

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე, პროფესორ ლეო კვაჭაძის მყუდრო ბინაში დიდხანს ვუსხედით ლხინად გაშლილ სუფრას, უბის წიგნაკი კი გარდასულ დღეთა მოგონებებით ივსებოდა...

— ეს იყო დიდი ხნის წინათ, — ამბობს ბატონი ნოე. — აღარც კი მახსოვს რიგიანად 1917 თუ 1918 წელი იდგა. ლანჩხუთელი ბიჭი, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მამის მეგობარს მდიდარ ვაჭარს სტეფანე ვანდას ქალაქ ხარბინსკში სწავლის გასაგრძელებლად გავყევი. სინამდვილეში კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ვაჭარმა გუმანით იგრძნო რაც ხდებოდა რუსეთში, მთელი თავისი ავლა-დიდება გაყიდა და გეზი ამერიკისაკენ აიღო. შორეული ქვეყნის ნახვის სურვილმა მეც ამაყოლია — ასე აღმოვჩნდი ლოს ანჯელესში. გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი და ამერიკის კონტინენტი ერთხელაც არ დამიტოვებია. ჯერ იყო და, საშუალება არ მქონდა, შემდეგ სამსახური, ოჯახი, ავად-მყოფობა. განა ცოტაა ხელისშემშლელი მიზეზი?

ლოს ანჯელესის ერთ-ერთ სასტუმროში ვმუშაობ. მეუღლე ამ რამდენიმე წლის წინათ გარდამეცვალა, ჩემმა ერთად-ერთმა ქალიშვილმა კოლეჯი დაამთავრა და ახლა მუშაობს.

სამშობლოსთან მხოლოდ წერილები მაკავშირებდა. ის, რომ ქართული ენა არ დამავიწყდა, ამაში ყველაზე დიდი წვლილი თქვენს გაზეთს მიუძღვის. მისი თითოეული ნომრის მიღება ჩემთვის ზეიმია. რამდენჯერმე თქვენმა საზოგადოებამ წიგნებიც გამომიგზავნა. სიმართლე გითხრათ, მცხვენია კიდეც, ქალიშვილს ქართული ენა რომ ვერ შევასწავლე, მაგრამ ახლა, როდესაც თვალით ნახა მამის სამშობლო, ვფიქრობ, თვითონვე გაუჩნდება დედა-ენის შესწავლის სურვილი. შემდეგ ბატონი ნოე ქალიშვილს მიუბრუნდა და ინგლისურად ჰკითხა, ხომ მართალს ვამბობო. ელენემაც თავი დაუქნია, ჩვენ კი შეგვპირდა — შემდეგში რომ ჩამოვალ, თქვენს გაზეთში ქართულ ენაზე ჩემი ხელით დაწერილ წერილს გამოვაქვეყნებო.

საუბრის დასასრულს სტუმარს ამერიკაში მშვიდობით დაბრუნება და სამშობლოსთან კვლავ მრავალჯერის შეხვედრა ვუსურვე.

— 69 წლის კაცისათვის ასე შორეული მოგზაურობა არც ისე ადვილია, — მიპასუხა ბატონმა ნოემ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ამ ოცი დღის განმავლობაში ბევრის ნახვა მოვასწარი, მაგრამ ძალზე ბევრი დამრჩა უნახავი. კარგად გიშენებიათ ქალაქი, ძველსაც კარგად უვლით და სიახლეც ჩინებული გაქვთო. დღიდან უფრო ამაყად ვიტყვი, ქართველი რომ ვარ, თვალწარმტაცი ქვეყნის შვილი.

ვიღებთ სამახსოვრო სურათს და ერთმანეთს ვემშვიდობებით.

კარებთან მისულს ბატონი ნოე მაჩერებს და მაბარებს: თუ ჩემ შესახებ გაზეთში დაწერთ, ჩემი ძმისწულებისა და ძმის შვილიშვილების გულუხვი მასპინძლობაც მოიხსენიეთ. ღმერთმა სიკეთე ნუ მოაკლოთ ჩემი და ჩემი ქალიშვილის გულის ასე გათბობისათვისო...

— მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ნოე!

— თქვენც დიდი მადლობა ჩემი სიყრმის სახელით რომ მომმართავთ და ნოი მაკ ლევანს არ მიწოდებთ, მიღიმის ლოს ანჯელესელი თანამემამულე და კიდევ ერთხელ მართმევს ხელს.

რეზო მაჭავარიანი

„თურქეთი“

ახლახან თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა ნოდარ ნაჭყებიას წიგნი „თურქეთი“, რომელიც წარმოადგენს ქართულ ენაზე დაწერილ პირველ ნაშრომს თურქეთის ეკონომიურ გეოგრაფიაზე.

წიგნში დახასიათებულია თურქეთის ბუნებრივი პირობები, რესურსები, მოსახლეობა, მეურნეობის დარგები, ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონები, ქალაქები და სხვა. ამ მეტად საყურადღებო ნაშრომს, სპეციალისტების გარდა, სიამოვნებით წაიკითხავს ყველა, ვისაც აინტერესებს ჩვენი უახლოესი მეზობლის ყოფა-ცხოვრება.

ფოლკლორული ეტიუდები

ქართველმა მკითხველმა საინტერესო წიგნი მიიღო. გამოვიდა პოეტ ნოდარ შამანიძის „ფოლკლორული ეტიუდები“.

კრებული იწყება საინტერესო გამოკვლევით: „კედელში ჩაშენებული მსხვერპლის სიუჟეტი ფოლკლორში“. ქართულ ლეგენდას, ზურაბის ჩატანებას სურამის ციხის კედელში მოეპოვება ანალოგიური ლეგენდები საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მსგავსი გადმოცემები მოეპოვებათ: ბერძნებს, ბულგარელებს, გერმანელებს, სერბებს...

უძველეს დროს მსოფლიოს ყველა ხალხში არსებობდა ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი. ქართული ლეგენდები ამოცენებულია ადგილობრივ ნიადაგზე და ისინი მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან სხვა ხალხთა ლეგენდებს.

სხვა ნარკვევებში მკითხველი ნახავს საყურადღებო ცნობებს ხალხური ჩვეულების „ოჩხარის“, მწყემსთა პოეტური შემოქმედებისა და მათ მიერ ნახმარი მუსიკალური საკრავების შესახებ.

რამდენსამე წერილში განხილულია აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძისა და თანამედროვე პოეტთა დამოკიდებულება ხალხური სიტყვიერებისადმი.



იარომირ იედლიჩკა

ცნობილი ქართველოლოგი და არმენისტი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი იარომირ იედლიჩკა საქართველოს დიდი მეგობარი იყო. მან ძალზე ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა ჩვენთვის თავისი კვლევითი, მთარგმნელობითი მუშაობით და იმ ურთიერთობითაც, რომელიც ქართველ და ევროპელ მეცნიერებს შორის დაამყარა.

ამ პოლიგლოტმა ქართული და სომხური ენების შესწავლის საქმეს თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მოახმარა. იკვლევდა ძველსა და ახალ ქართულს, ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას ევროპაში ჩეხურ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე (იცოდა რუსული ენაც). ბეჭდავდა ძველი და ახალი თაობის ქართველი მწერლების შესახებ სტატიებს სამეცნიერო ორგანოებსა და ენციკლოპედიებში, რეცენზიებითა და შენიშვნებით ეხმაურებოდა უველაფერს, რაც ევროპაში იბეჭდებოდა ქართული და კავკასიური ენებისა და ქართული ლიტერატურის საკითხებზე. შეადგინა ქართველ მოღვაწეთა ენციკლოპედია (400-გვერდიანი ნაშრომი), თავის ერს გააცნო ჩვენი ეროვნული სიამაყე შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „იგავ-არაკები“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, გიორგი ლეონიძის „ქართლის ბაღი“ (ლირიკული ლექსების კრებული), „ქართული მოთხრობების კრებული“, რომელშიც დაბეჭდილია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია — ადამიანი?!“, „სახრჩობელაზედ“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, დავით გურამიშვილის „მხიარული გაზაფხული“ („ქაცვია მწყემსი“) და ჩვენი მწერლების სხვა ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები.

სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო კორნელი კეკელიძის „ქართველი მწერლების ისტორიის“ მეორე ტომის გამოქვეყნება, რომელზეც დიდხანს მუშაობდა და რომელიც პროფესორ იულიუს ასფალგის რედაქციით უნდა გამოსულიყო.

საინტერესოა იარომირ იედლიჩკას ცხოვრების გზა. იგი დაიბადა ქალაქ პრაღაში. მამამისი, ენათმეცნიერი, კლასიკური ენებისა და ფილოლოგიის მკვლევარი, 33 წლის ასაკში გარდაიცვალა, იარომირის დაბადებამდე 2 თვით ადრე. შვილი აღზარდა ბელეტრისტმა მწერალმა დედამ. იარომირმა დაასრულა გიმნაზია და პრაღის უნივერსიტეტის ინგლისური და სლავური ფილოლოგიის განყოფილება.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც იედლიჩკა იმდიდრებდა ცოდნას ენების შესწავლით. ქართულ ენასა და ლიტერატურას 1933 წლიდან სწავლობდა. იგი კარგად მეტყველებდა და წერდა ქართულად. 1961 წელს მოხსენებებითაც გამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე.

შრომისმოყვარე, ფართო განათლების, დიდი ერუდიციის მეცნიერი სისტემატურად იღრმავებდა ცოდნას ქართულ ენაში, ასწავლიდა ქართულსა და სომხურს, ჯერ სავაჭრო აკადემიაში, შემდეგ კი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და პრაღის უნივერსიტეტში. მას ეკუთვნის რეცენზიები და გამოკვლევები ძველი ქართული ენის სტრუქტურის საკითხებზე, მანვე გამოსცა ძველი ქართული ტექსტები და მათი აღწერილობა, ელენე ერისთავთან ერთად შეადგინა ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის.

დიდი, ძალზე დიდია იარომირ იედლიჩკას ამაგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში. მან ეს პოემა თარგმნა ჩეხურ ენაზე — პროზაულად და ლექსადაც. იედლიჩკას უყვარდა რუსთაველი, რომელსაც გენიოსად თვლიდა და იგი თავის ხალხსაც შეაყვარა.

გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე, იარომირ იედლიჩკა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ქართულად სწერდა:

„მივესალმები ქართული უდიდესი გაზეთის „კომუნისტის“ მკითხველებს. ვუსურვებ დიდი რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს ძალიან კარგად ჩატარებას.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემს დედაენაზე ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი“ და ეს უსწორო რომანი-ეპოსი გავაცანი ჩემ ხალხს.

ახლა გადავამუშავებ და დავამატებ (შევავსებ) ჭართული საერო მწერლობის ისტორიას კორნელი კეკელიძისა (1900 წლამდე). ამ წიგნს იულიუს ასფალგი და მე გამოვცემთ გერმანულად.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს და სალამი ჩემს ქართველ მეგობრებს!“

იარომირ იედლიჩკა“.

ჩვენში კარგად იციან იედლიჩკას სიტყვები: „თუ მე გამოვთქვამ ჩემს აღტაცებას „ვეფხისტყაოსნის“ გამო, ამაში, რა თქმა უნდა, ორიგინალობას ვერ დავიჩემებ. შოთა რუსთაველი მთელ მსოფლიოს მოსწონს... მე, რუსთაველის შემდეგ, მთელ ჩემს სიმპათიას ბეხიკისა და დავით გურამიშვილის პოეზიას ვაკუთვნებ“.

იარომირ იედლიჩკა ორჯერ იყო თბილისში. იგი მუდამ ქართულად გვესაუბრებოდა. ხშირად რომელიმე აზრის გამოთქმისას დასძენდა: ეს რუსთაველს აფორიზმად აქვსო... იგი დაუშარელი იყო წერილების წერასა და წიგნების გაგზავნ-გამოგზავნაში.

იარომირ იედლიჩკას ჩვენს წინაშე კიდევ ერთი დამსახურება მიუძღვის: მან აღზარდა ჩეხი ახალგაზრდები, რომლებიც მის საქმეს განაგრძობენ. მაგალითად, მისი მოწაფეა ქართველთათვის უკვე კარგად ცნობილი ვაცლავ ჩერნი.

იარომირ იედლიჩკა იყო გულმართალი, სპონტანური და ალტრუისტული ადამიანი, ჩვენი ერის ნამდვილი მეგობარი, ქართული კულტურის პოპულარიზატორი, რუსთაველის გენიის უღრმესად პატივისმცემელი, რისთვისაც მან ჩვენი მადლობა, მოკრძალებული პატივისცემა და კეთილი სხოვნა დაიმსახურა.

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი

ღერძლმა მოპასუხე პოვა

ჩვენი გაზეთის მეათე ნომერში (22 მაისი) გამოქვეყნდა დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები ჰანა ცეტშეს წერილი. იგი ეძღვნება მამას — ანტონ სირაძეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ იმყოფებოდა გერმანიაში, ქალაქ ტრისში. ქალბატონი ჰანა სთხოვდა გაზეთის რედაქციას, დახმარებოდა მას მამის ან მისი ოჯახის წევრების პოვნაში. და აი ამ ორიოდე დღის წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომლის ავტორმა ანტონ სირაძის პორტრეტში თავისი მკვიდრი ბიძა ამოიცნო.

გთავაზობთ ამ წერილს.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო!

ანტონ სირაძის შესახებ გაცნობებთ შემდეგს: დაბადებულია მახარაძის რაიონში, სოფელ კონჭკათში. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ტყვედ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამბობდა, გერმანიაში მყავს ცოლი და ქალიშვილიო. ანტონს ცოლი არ შეურთავს. 1942 წელს გარდაიცვალა ქალაქ ბაქოში და იქვე დაკრძალეს.

ამჟამად სოფელ კონჭკათში ცხოვრობს ანტონის ღვიძლი და ლუდმილა, მე კი ლუდმილას ქალიშვილი, ესე იგი, ანტონის დისწული ვარ. ვმუშაობ სკოლაში მასწავლებლად.

ანტონ სირაძეს ჰყავს უფროსი ძმა ნიკიფორე, რომელიც ცხოვრობს მახარაძის რაიონში და უმცროსი და ნატალია სირაძე-ფანცულაია, მცხოვრები თბილისში, ფალიაშვილის ქუჩის № 41-ში. ამის გარდა, ჰყავს ბევრი ნათესავი, რომლებიც მოხარული იქნებიან გააცნონ ჰანა ცეტშეს მამის სამშობლო. უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ მას ჩვენი ეს დიდი სურვილი.

პირადად მე ჩემს ალალ ბიძაშვილს ჰანას გულითად სალამს ვუძღვნი და მოუთმენლად ველი მის გაცნობას.

ვენერა კვაჭანტირაძე,
მახარაძის რაიონი, სოფელი კონჭკათი.

რედაქციისაგან:

როგორც იტყვიან, ფაქტები კომენტარებს არ საჭიროებენ. გაკეთდა კიდევ ერთი კეთილი საქმე — ათეული წლების წინათ დაკარგულმა ნათესავებმა ერთმანეთის კვალს მიაგნეს.

„სამშობლოს“

ინტერვიუ

სამშობლოს სამსახურში



სერგი წულაძე რამდენიმე წლის წინათ დაბრუნდა სამშობლოში. ფსიქიატრიის ინსტიტუტის პათოფსიქოლოგიის და ფსიქოთერაპიის განყოფილების გამგე, მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწევა. მის მიერ ფრანგულ ენაზე ნათარგმნმა „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც პარიზში 1965 წელს გამოიცა, საფრანგეთის აკადემიის ლანგლუას სახელობის პრემია დაიმსახურა.

ჩვენ დაგვაინტერესა რაზე მუშაობს ამჟამად ბატონი სერგი, როგორია მისი, როგორც მეცნიერისა და ლიტერატორის უახლოესი გეგმები, და მას ბინაზე, ფალიაშვილის ქუჩაზე ვეწვიეთ.

● ბატონო სერგი, რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ჩემი უპირველესი ამოცანა დღეისათვის, ისევე როგორც ყველა ჩემი კოლეგისათვის, ფსიქიატრთა საერთაშორისო სიმპოზიუმისათვის მზადება გახლავთ. ეს სიმპოზიუმი შემოდგომაზე გაიმართება თბილისში და მასში მთელი მსოფლიოს გამოჩენილი ფსიქიატრები მიიღებენ მონაწილეობას.

ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში ეწყობა, თავისთავად მეტყველებს ქართველ ფსიქიატრთა დიდ ავტორიტეტზე, რომლებსაც მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი ავლიპი ზურაბიშვილი უდგას სათავეში. სიმპოზიუმზე რამდენიმე საინტერესო მოხსენებით წარვდგებით. პირადად მე ჩემს გამოსვლას შიზოფრენიის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ შესწავლას მივუძღვნი.

● ეს, ასე ვთქვათ, თქვენი წმინდა მეცნიერული საქმეებია, რა ხარკს უხდით ლიტერატურას?

— ამჟამად ლიტერატურულ ასპარეზზე რაიმე აქტიური მუშაობას არ ვეწევი. საფრანგეთის „გაერთიანებული გამომცემლობის“ დაკვეთით, რომლის დირექტორიც საქართველოს კეთილი მეგობარი ჭალბატონი მადლენ ბრონი გახლავთ, ვამზადებ წიგნ-ცნობარს „საქართველოს მზის ქვეშ“.

წიგნი მკითხველს გააცნობს ჩვენი რესპუბლიკის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, იგი უხვად იქნება ილუსტრირებული. ქართველ ფოტოხელოვანთა სურათების გარდა, გამოვიყენებთ შვეიცარიელი ცნობილი ფოტორეპორტიორების არმან დერიაზისა და გაბრიელ პონსის სურათებს, რომლებსაც ჩვენთან მოგზაურობის დროს მასპინძლობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს განყოფილება. ვფიქრობ, წიგნი საინტერესო იქნება. ჭალბატონ მადლენ ბრონს ქართული წიგნების გამოცემის კარგი გამოცდილება აქვს. სწორედ მან გამოსცა, და მშვენივრადაც, ამ რამდენიმე ხნის წინათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების სრული კრებული ქართულ და ფრანგულ ენებზე.

სხვათა შორის, ახლახან პარიზიდან მიღებულ ბარათში, რომელსაც ჭალბატონი მადლენი ქართულად აწერს ხელს, შევიტყვე, რომ იქაურ გაზეთებში უკვე გამოჩენილა ცნობა ჩემი წიგნის თაობაზე.

ალბათ ახლო მომავალში ფრთები შეესხმება კიდევ ერთ ჩემ ჩანაფიქრს, ფრანგულ ენაზე გამოვცემ ქართული პოეზიის ანთოლოგიას. ამ საქმეში უკვე ჩაბმული არიან და მუშაობენ საფრანგეთის გამოჩენილი პოეტები მაქს პოლ ფუშე, გილვიგი და სხვები.

დროდადრო ვთარგმნი ქართველი პოეტების ლექსებს და ვაქვეყნებ ჟურნალ „ავრ ე ოპონინ“-ში, რომელსაც სსრ კავშირის მწერალთა კავშირი ფრანგულ ენაზე უშვებს. უკვე გამოვაქვეყნე გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა ლექსები.

● თქვენ, ალბათ, კმაყოფილი ხართ სამშობლოში დაბრუნებით. გიფიქრიათ თუ არა თქვენი ცხოვრების სხვაგვარ გაგრძელებაზე?

— არა, და აი რატომ: თავს ყოველთვის საქართველოს შვილად ვთვლიდი, საფრანგეთში ბევრჯერ მიცდია სამშობლოს საკეთილდღეოდ რამის გაკეთება, მაგრამ იმას, რაც ამ 12 წლის მანძილზე შევძელი, გულახდილად ვიტყვი, უცხოეთში ცხოვრების 100 წელიწადიც არ ეყოფოდა. და კიდევ ერთი — განა რამე სჯობს იმის შეგრძნებას, როდესაც იცი, რომ შენი შვილები სამშობლოში იზრდებიან და მთელ სიცოცხლეს ერის კეთილდღეობას მოახმარენ?

● ბატონო სერგი, საფრანგეთში თქვენ, დის გარდა, ბევრი მეგობარი დაგრჩათ. რა ურთიერთობა გაქვთ მათთან?

— 12 წლის მანძილზე საფრანგეთში რამდენჯერმე ვიყავი, ყოველწლიურად ჩემი ოჯახი საფრანგეთიდან ჩამოსულ 7-8 სტუმარს მაინც მასპინძლობს.

● თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ თქვენს ოჯახზე.


— ჩემი მეუღლე მადლენ ვერდო, რომელმაც ჩინებულად შეისწავლა ქართული ენა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მეგობრები ასე ამბობენ), ამჟამად კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მუშაობს რეჟისორის ასისტენტად, უფროსი ქალიშვილი ნუცა სამხატვრო აკადემიის ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია და ახლა პრაქტიკაზე იმყოფება; ლუკა, გელა და ჯაბა საშუალო სკოლაში სწავლობენ, ერთ თვეზე მეტია ქობულეთში ისვენებენ. მათს კამპანიას მეც სიამოვნებით შევუერთდებოდი, მაგრამ ახლა დასვენებისათვის არა მცალია.

● და ბოლო შეკითხვა. რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

— ვმოგზაურობ. უკანასკნელ წლებში ჩემი მთა-ბარის ბევრი საოცრება ვნახე, მაგრამ ჯერის მონასტრის, ან ნიკორწმინდის ერთხელ ნახვით დაიოკებს ქართველი კაცი გულს? ჰოდა, მეც ვმოგზაურობ, ვეცნობი ძველსა და ახალს, ჩვენს წინაპართა თუ თანამედროვეთა ნაღვაწს. მინდა თვითონ შევიგრძნო ყველაფერი სრულყოფილად, შემდეგ კი სხვებსაც გავაცნო.

გურამ რჩეულიშვილი

ალვისლილვა



დასასრული. დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში.

ჩვენი გმირი გახარებულია: აი, აქ იწყება ნამდვილი გართობა, ახლა მაინც გათავდება, მიწყდება უთავბოლო ღრეობა და რელიგიური ინერცია, რაც უნებურად მაინც გამოსჭვივის აქა-იქ გაფანტულ შეზარხოშებულთა სახეებში. ეს ნამთვრალევი სახეები წმით შუქდებიან; თითქოს შორიდან მოსულმა სტუმრებმა აგრძნობინეს აქ, ალავერდში თავმოყრის ნამდვილი აზრი...

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამია გამოფხიზლებისა. არავის არ უნდა სხვისი გართობის ცქერა. ისევ თავიდან იწყება ყველაფერი. მოძრავი, თლილი ქვებით სავსე ცოცხალ სახაკლაოს ემსგავსება მოქეიფე ალავერდი. მანქანებში სხდებიან სტუმრები და იმედგაცრუებულები ტოვებენ ალავერდს, საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს მიჩვეულ მეალავერდეებს.

ძნელია ბუნებით ეგზოტიკით სავსე ჭაბუკისათვის ამის ყურება. ის სვამს ღვინოს, იქნებ დაითროს სხვებივით, იქნებ მაშინ მაინც დაინახოს ის, რასაც სხვები ხედავენ — იმედიანი, მისი აქეთ წამოსვლის გამმართლებელი. მატულობს მის სხეულში კახური ქვევრის გემონაკრავი სასმლის სახიამოვნო სითბო, შეუჩერებლივ დადის ხალხში, ედება ყველას, ელაპარაკება, ვერ ასმენს და აღარ ესმის არაფერი. მაგრამ აუცილებელია მოქმედება, რაიმეს გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, არტისტულ არენად აქცევს ყველაფერს და მაყურებელს დააინტერესებს ერთი ამბით, ერთი მიზნით, ამ წუთში — ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინსტინქტი არტისტისა — მისცეს ყველას მის გარშემო ერთი ინტერესი, მიზანი, მთლიანად იპყრობს მას.

სანაღიროდ გამოსული კატუნიას ნაბიჯებით ეპარება გურამი ურმის უკან ღვინის სასმელად ჩამომჯდარ თუშ-ლეკების ჯგუფს, განუწყვეტლივ ეხმის თუშის ბორიკა ხმა: „მა ხმა რა ვქნათ, შევსვათ კიდევ“...

არ დაუნახავთ მთვრალ პატრონებს, როგორ აუშვა გურამმა მთიულური, მკერდგანიერი ცხენი, თითქმის შეუმჩნევლად გაიყვანა ხალხიდან და უბელოს ზურგზე მოახტა.

ტარებით მიპყავს მტვრიანი გზის გასწვრივ, მაღლა ტყისკენ, უკან რჩება ბუბუნი, ხმაური. მითოხარიკობს ცხენზე მჯდომი, თანდათან ივსება იმ შესლის ჟინით, როდესაც ის გაჭენებული ცხენით ჩაუქროლებს ხალხს და გამოაფხიზლებს მათ მოდუნებულ ენებებს: მაგრამ ამაზე აღარ შეუძლია ფიქრი. ახლა მხოლოდ გრძნობების ასპარეზი რჩება, თავდება მინდორში შემოჭრილი ტყის ბოლო, აქედან აღარ მოჩანს, არც ალავერდი, არც ხალხი. არაბუნებრივი სიჩუმე დგას ირგვლივ. ტყის პირას პატარა, გრილი ფშანი გამოდის, იქვე უხვევს და ბუჩქების სიღრმეში იკარგება, უცნაური გაშეშება იპყრობს მარტოდ დარჩენილ მხედარს... ცხენმა წყალი მოსვა და ყურებდაცქვეტილი გაჩერდა ფშანში. ოდნავი ჩქამიც კი არ ისმის, ამ სიჩუმეში ისმის მთლიანი, დიდებული სიმფონია გაურკვეველი სურვილისა — სად დაიწყო? სად დამთავრდება?! რა უნდა მოხდეს?! — არაფერი არ ესმის მსმენელს, ეს არის მუსიკა, მთლიანი, ერთიანი თავისი ხმებით, ნაწილებით: მისგან თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა — არ გაიძრე, არ გაუძალიანდე. და უცებ, საიდანღაც, საოცარი სისწრაფით, თოფივით ვარდება ერთი ნოტა, სიმფონიის გარეშე დარჩენილი, იწივლა ჯოჯომ, მოწყვეტით გავარდა მხედარი სიგრილიდან გახურებული მინდვრისაკენ, ფეხდაფეხ აიყოლია ცხენი, ათას ხმიად დაიშალა ჯოჯოს წივილი, აიმტვრა ჩალა, ალაწუნდა გამხმარი შალაფა, რგოლებად დაიხლიჩა დასიცხული ჰაერი, გახურდა მხედარი, გასწორდა წამოწეული ცხენი და თვალის დახამხამებაში ორივე ერთ სხეულად იქცა.

— ცხენი აშვებულა, — ამბობს ურმის უკან საქმეზე გასული ლეკი.

— მაგას ცხენი არ სჯობს, გუშინ დოღი მოიგო! — პასუხობს მთვრალი თუში და უაზროდ უყურებს ურემზე მიბმულ საბელს.

— ჩემი უნაგირი აქა დევს, — განაგრძობს თვალიერებას ლეკი.

— ე! ცხენი რა იქნა! — უცებ ყვირის გაოცებული თუში. ის არის, უნდა წავიდ-წამოვიდნენ ცხენის მოსაძებნად, ბლად რომ ტყის კიდიდან ლარივით გაწოლილ შარაზე გაჩნებით მომავალი მთიულური ცხენი უცნობი მხედრით. სიჩქარე სხვა ვნებით უცებ ატაცებული ჯგუფი ნაბიჯის დაუძრახუყურებს.

მხედარი ვერ არჩევს ამ ჯგუფს, შორიდან ხალხი გალაღებასაეით მოჩანს; ის ხხოლოდ გახელებულ ჭენებას გრძნობს, რომ თავს ვეღარ უჭერს გახურებულ ფაშატს, გიგანტური თ იზრდება მის წინ ულამაზესი და უდიდესი ტაძართა შორდი, და მოდის მისკენ საბედისწეროდ, როგორც ზღვაში ბურუსიდან გამოსული მარტოხელა მეზღვეზე — ხომალდი. ლია უცებ შეაჩეროს გემი, ვერ უჭერს თავს გურამი ცხენს მის ჩასაყლაპავად ალავერდი. და მოულოდნელად, ექსტაზ სას, მის წინ სრამად იხლიჩება მინდორი და მინდვრის მთლიან მასად აღიქვამს იგი ხალხის გაოცებულ სახეებს.

საბედისწერო სისწრაფით იკარგება თეთრი ტაძარი.

— ოოუჰ! — იძახიან ფეხზე წამოვარდნილნი, ერთხმად დაინახეს, როგორ ბზრიალა ლოდივით გადაეშვა ცხენი და მხ

აუუგაჰ! — ისმის ყოველი მხრიდან ათად გაზრდილი მხედარი, ხრამიდან ამოვარდნილი, მომატებული ძალით ცხენს. სწრაფად, თითქმის ცხენის ფლოქვებქვეშ გაიელვებს ლის დამჭკნარი ცხვირი; ნაწნავები, განიერი თეძოები ცის გოგოსი, გუდალოყება მეზურნე, გამხმარი მედოლე... მას დ უვარდება და ბათქანით სცდება ქვაზე. კლდის ქიმიკით ვისიანების წინ ჩამდგარი სახემოქცეული ლეკის თავი, პრ ლში ხანჯალი, არაჩვეულებრივი სისწრაფით მოიწევს მისკ მოსული ცხენი. თავს ვეღარ უჭერს გურამი ცხენს; ხედავს, ცა ლეკის სახე, გაიზარდა, უცებ ათჯერ, ასჯერ, ელვის სი ტა გვერდზე.

— უუჰ! — იჩუტება მის ქვეშ ცხენი; რომელსაც გაბერ ში გაუყარა ლეკმა ხანჯალი. რამდენიმე წამს გურამი ჰაე ლაყს აკეთებს მიწაზე და გარბის. მისდევს ის კაცი, რომ ლა ცხენმა; მისდევს თუში, ვისიც იყო ცხენი, მისდევენ თ ბი, მისდევენ სხვებიც; ახლა კი უცხენოდ მიჰქრის გურამი შე შევარდა, ტყე პირდაღებული, დოყლაპია სახეებისა იზრ მოძრაობენ სახეები, როგორც ცხენიანს, ისე ეცლებიან გზ ყიენინით მისდევენ უკან. მის წინ უცნაურად იზრდება ფლ ხე კაუჭცხვირიანი. ყურებამდე პირგახეული დასხლიდარისა ური დარტყმით იშორებს გურამი მას. გადახტება და გიქ სული, უცნაური, შეუჩერებელი ფიქრებრევული შერბის ტა მდუმარება ყიენინაზე მეტია, მაგრამ მალე გაგუნით იხ თაღი. გურამს ყიენინი მოსდევენ. ალავერდის ცხობილი თავში, ღვთისმშობლის პატარა ხატთან თავაუღებლად ლ ხუცი ქალი. „იმათზე ილოცე, დედავ, მე თვითონ გავიტა ჩულით ამბობს უმიზეზო სიხარულმოწოლილი გურამი, ნათელ კიბეს ოთხი ნახტომით არბის და ბნელ, მოწვიულ გებს, ამ სიბნელეში უცნაურად მხიარული გრძნობს მის ბულ, მქშინავ ნაბიჯებს, უფრო ემატება მის ენებას ბავშ

მაღლა უფრო ვიწროვდება, დაბლდება კიბის თაღი, წინ ნიდან სინათლის ფარავს მქშინავი მდევრის დიდი ბოხო ამავალ საფეხურზე გურამი, უკან ბოხი, წრიპინა, ჩახლჩ გავენ მის გავლილ გზას.

— სიუჰ, სიუჰ! — ბოჭური ჟინით უსტვენს დადლილი რზე გურამი.

— თავდება კიბე, დავიჭერთ! — ესმის იმედიანი, ბრ

ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში

გურამ რჩეულიშვილი, 1959 წელი.

სტუმრები ირანიდან

ეს სურათი გადაღებულია კობა გურულის სახელოსნოში. იმ დღეს მას მეტად საპატიო სტუმარი — ირანის პრინცესა მანიჟე ფეჰლევი ეწვია.

პრინცესა თბილისში ჩამოჰყვა თავის მეუღლეს — ირანის პრინცს, ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს გოლამ რეზა ფეჰლევს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით იმყოფებოდა.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, იყვნენ ჩაის სახლში, შამპანური ღვინოების ქარხანაში, ეწვივნენ საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს, დაესწრნენ სპორტულ სანახაობებს.

გაიმართა მეგობრული საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რაფიელ დვალთან, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაჭაძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი წერეთელი და სხვები.

პრინცს თან ახლდა ირანის ელჩი სსრ კავშირში ამად მირფენდერესკი.



სურათზე: პრინცესა მანიჟე ფეჰლევი და მისი ძმა ბიჟან ჯაჰანბანი კობა გურულის (მარცხნიდან პირველი) სახელოსნოში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო


მეგობრობა გზად და სიდად

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საგანძური კიდევ ერთი ახალი შენაძენით გამდიდრდა: გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველს მიაწოდა ნიკოლოზ ტიხონოვის ვრცელი პროზაული ნაწარმოების „ორფერთა ცისარტყელას“ ქართული თარგმანი.

ტიხონოვის „ორფერთა ცისარტყელა“ ამაღელვებელი, ცოცხალი მატიანეა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ძველი ცხოვრების, ძველი ყოფის რღვევისა და ახალი სოციალური ურთიერთობის ალმოცენება-განვითარების პროცესებისა. აქ მკითხველს ატყვევებს მწერლის გასაოცარი გულწრფელობა, პირდაპირობა, კაცთმოყვარეობა, ინტერნაციონალური სულისკვეთება. ასევე შთამბეჭდავი და დასახსომებელია სხვადასხვა ერის, ეპოქის, ასაკის, სოციალური წრის ადამიანთა პორტრეტები, კოლორიტული ყოფითი სცენები, ჟანრული სურათები, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების სიძნელეები როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დიდი მოქალაქეობრივი პათოსით არის ნაჩვენები საბჭოთა ეპოქის ისტორიული მოვლენები — ჭოთა ხელისუფლების დამყარების სურათები, მოგონებები და ფიქრები ქართულ ლიტერატურასა და მწერლებზე (რუსთაველი, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები), არამედ ის გარემოება, რომ მწერალი სრულიად სხვადასხვა ვითარებაში, გერმანიასა თუ შვეიცარიაში, დაღესტანსა თუ თურქმენეთის უდაბნოებში ქართველივით იგონებს საქართველოს, ქართველ ხალხს, თბილისს, ქართველ მწერლებს.

ქართული გამოცემისათვის საგანგებოდ დაწერილ წინასიტყვაობაში ნიკოლოზ ტიხონოვი ამბობს: „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს წიგნს „ორფერთა ცისარტყელას“ განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად... დიდად მახარებს, რომ ჩემი მეგობრები ქართველი მკითხველები ეზიარებიან მათთვის უცნობ ხასიათებს, თავგადასავლებს, შემოქმედებით მონაპოვარს“.

ნიკოლოზ ტიხონოვის „ორფერთა ცისარტყელას“ ქართული თარგმანი დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველს.



ალავერდის ტაძარი.

ვალერიან ყუშიტაშვილის ფოტო

ტები უკანდან. ხმები გვირაბის მარადიულ სიბნელეში ეხოდ ვარდება, და უცებ მის თვალებში იჭრება კახეთის მიწიდან ატყორცნილი მზის სხივების თვალისმომჭრელი სიკაშკაშე. — პატარა სარკმელთან ავარდნილი გურამი მოწყვეტით ჩერდება. აქ წყდება კიბეები და გუმბათის ზღურბლზე გადის. გუმბათი ლიბია, დაქანებული, აქლოშინებული მხოლოდ ახლა გრძნობს ნამდვილ საფრთხეს, ყურთან ესმის ხანჯალმომარჯვებული მდევრის ღვინისოხშივარიანი სუნთქვა. დრბრიდდდ! — ურტყამს ის თუნუქის სახურავს ფეხებს, მერე სარკმელს სცილდება და შუქის მთელ სიმძლავრეს უშვებს გვირაბში, მდევრის წინ, რომელიც აქამდე სიბნელეში იყო, უცებ თავისუფლდება ხხივიანი სარკმელი და იჭრება დაგორებული სავნის ხმა.

— იუჰ! — იძახის ის ხანჯალგაშეშებული — დაგორებულააააა!

ეს გამგმირავი ხმა მეორდება დაუსრულებლივ, კიბეების დაყოლებაზე დაყოფილი ათას სხვა ხმად. ტყაპუნით გარბიან უკან. შეშინებული მდევარი ხიდან მოწყვეტილი დათვივით ეშვება. მის პატარა ფანტაზიას ჰორიზონტი ეზრდება. ეჩვენება, რომ თეთრ რაშზე მჯდომი წმინდა გიორგი გამწყრალი მოსდევს უკან. „ვაი“! — იძახის ის და იმავე წამში საფეხურებზე ფეხაცდენილი მიგორავს ქვევით. შეშინებული ღაღდით თხოვს ღმერთს ხირბილ-სირბილ: „ჯი, ქრისტე, შენი ჭირიმე“.

რომელიღაც მოცეკვავემ, რომელმაც სახე მაღლა ასწია, ცეკვა ზედ თითის წვერებზე შეაჩერა, და გარინდდა: გუმბათის ლავგარდანზე წონასწორობისათვის ხელგაშლილი მიდია გურამი. ის გაჩერდა და ქვევით, ხალხისაკენ დაიწყო ყურება, მაღლა ასწედეს მეზურნეებმაც და დაკვრა შეწყვიტეს. ხალხმა დაინახა ეს მოჩვენება. აძგერდნენ ახალგაზრდა გულები, აღელდნენ მოხუცები. ქალები თვალს ვერ აშორებენ გუმბათს. გავარდა ხმა, კაცი ღგას გუმბათის ლავგარდანზე და ყოველ წამს შეიძლება გადმოვარდესო. ხმა გავიდა გალავნის გარეთ, მერე ხევს გაღმა და იწყო ხალხმა გალავნის შიგნით დენა. „ოოუ“! — იყვირა გურამმა. ხალხი ისევ ისე უძრავად იდგა. ამ სიმაღლიდან თითქმის ვერ აღწევს ხმა დაბლა.

პირველ წუთებში ეფექტი მთლიანი იყო. მას მოეჩვენა, რომ მიადწია იმ საწადელს, რომლის სახელიც სიტყვებით აღარ კი ახსოვდა. და იმავე წუთში სადღაც გაქრა მთელი მისი უსაზღვრო ვნებადაქცეული სურვილი. ზედმეტი გრძნობისაგან დაცლილ აზროვნებას დაუბრუნდა მოულოდნელი სიცხადე და რაღაცა განუსაზღვრელად ახლობელი ჩაიღვარა მის გულში, სადღაც ისევ ჩაბერეს ზურნას, მაგრამ მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ჭალიდან ამოვარდნილი ალავერდი, მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში.

მთელს ამ უზარმაზარ ველზე, არ არის არც ერთი გოჯი, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ. ტყისპირას გაგონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგემოვნოები ალვნებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებლივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეჯერებული გრანდიოზული, უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.

ამის ფეხბქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზელი ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს ეღიმება, ისე უაზრობად ეჩვენება აქ დგომა. ქვევით იხედება და ღიმილი სიცილად ექცევა — დაბლა უკვე დაშლილა ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ სამშიშ ადგილას. ალვნებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს თავის უნებურ, უაზრო, გაუმოზნავ, უნაყოფო სურვილს.

ტინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერწყმა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ.

ვერაგ რჩეულიშვილის ლექსები

ალავერდზე

მზარზე ძლიერად დამარტყა ხელი,
ერთი ვიფიქრე: გიჟია თუ რა?
მოვტრიალდი და... ვერ გეტყვით ენით,
გაოცებულმა შევძახე: „გურამ!..“
და იგი გაჭრა. ღმერთო, რა ვნახე,
პირველად ვნახე მეორედ მოსვლა.
ვინ დამიფერებს, როცა გავამხელ,
ან ვინ მოშისმენს მოვყევები როცა?
ისევ გაშორდა. თუშისთვის ცხენი
მოეტაცნა და მოაქანებდა,
სადავისათვის გაემზა ხელი
ასე თამამს და ასე თავნებას.
მოაგელვებდა გურამი მერანს,
გამწარებული მოსდევდა თუში.
„ვერ დაეწევა, — ყვიროდნენ, — ვერა,
მიდი, ო, მიდი, გენაცვალე სულში!“
„ჩემს ცხენს გავატან? მამა უცხონდეს!..“
და მისდევს თუში გიჟურ ჭენებით,
აბა, სად ფქმული თუში უცხენოდ? —
იმწამსვე მოკვდეს, ის უორენაა!
ჰა, დაეწია, იელვა ხმალმა,
დაღვა წუთები ენით უთქმელი,
გურამი განზე გადახტა ხელად,
ხმალმა გაფატრა ცხენის მუცელი...
და უცებ თავზე მოექცა გუმბათს, —
დააბიჯებდა გაშლილ ხელებით,
არ წაქცეულა, მაღლობა უფალს,
თორემ ვნახავდით საშინელებას.
თაღს გაბზარული ეკიდა ზარი
და ზანზარებდა იმ ზარიანად.
ნუთუ, ეს მართლა სიხმარი არის,
ო, არა, გურამ, სიხმარი? — არა!
შენმა ავარდნამ დღეს ალავერდზე
ჟრჟოლვა მომგვარა კვლავინდებურად,
ასეთი რამე აღარ გაბედო,
თავს გაუფრთხილდი! გამიგე, გურამ!

ზაურ გოლეძაძე

ვართალი გითხრათ, როგორღაც გული მეთანაღრებოდა, სანამ წერად დავჯდებოდი. ამ ყოყმანს ჩემში რამდენიმე უსიამოვნო გრძნობა იწვევდა. მთავარი გრძნობა მაინც ერთგვარი ზიზღის გრძნობა იყო, ზიზღის გრძნობა, ვიღაც უცნობთან უნებლიეთ ჩამოვარდნილი კამათი რომ იწვევს ხოლმე. და, მკითხველმა გვაპატიოს ეს მკვახე კილო. მეორე უსიამოვნო გრძნობა კი გამოწვეულია მდგომარეობით: აბა რა უნდა ჰქონდეს კაცს საკამათო ისეთ პირთან, რომელსაც თვალსაფრად რაღაც საეჭვო ფონდებიდან მიღებული კუპიურები გამოუყენებია?

მაგრამ არის ერთი მთავარი მიზეზიც, რომელსაც ყოველმა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ანგარიში უნდა გაუწიოს და იძულებულია ხმა ამოიღოს, როდესაც უდიერად ჩამოაგდებენ სიტყვას შენს საყვარელ დედაენაზე, შენს კულტურაზე; ენაზე, რომლისთვისაც შენ, როგორც მწერალს, ათეული წლები შეგიწირავს, კულტურაზე, რისთვისაც შენ ამდენი გიბრძოლია. და რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამის ხელყოფას ვერასგზით ვერ შეურიგდები და ვერც გაჩუმდები. მაშ რა გვექნა, ანდა როგორ მოვიქცეულიყავით? თქვენ კადნიერად, დიახ კადნიერად მოგვმართავდით ქართველ მწერლებს და მეც იძულებული ვარ, როგორც ერთმა მწერალთაგანმა, გაგცეთ საკადრისი პასუხი.

თავისი გარკვეული ორიენტაციით კარგად ცნობილმა რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ ამას წინათ თავის ტალღაზე ვინმე ლორია გამოატყვრინა. თურმე, ნუ იტყვით, ეს ლორია ჩვენი დედაენის „ვაგლახ ბედს“ ზომაზე მეტად აუღელვებია. ან, კაცმა რომ თქვას, როგორ არ აღელდებოდა, როგორ არ „დასცემდა ნობასა“, როცა ჩვენი ქართული, თურმე, იმდენად გაღარიბებულა და, ასე გასინჯეთ, დანაგვიანებულა, რომ დაუყოვნებლივ შველას მოითხოვს. როგორმე უნდა ვიხსნათ იგი ეგრეთ წოდებული „ბარბარიზმებისაგან“. ვერც ჩვენ მოვითმენთ ასეთ გაუხარელ პერსპექტივას და დიდი შოთასა და სხვა დიდებულ წინაპართაგან ნაანდერძევ ენას ვიღაც ლორიას „ვოლაპიუკით“ ვერ შევცვლით.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა შმობლიური ენა უნდა გააჩნდეს იმას, ვისაც სამშობლო არ გააჩნია. მე არ ვიცი, სახელდობრ ვინ არის ეს ლორია. უცხოეთში მყოფ კულტურის მოღვაწეთა შორის ეს სახელი არ შემხვედრია. ასე გასინჯეთ, ისიც არ ვიცი, ნამდვილი გვარია ეს იმ პირისა, რომლის ხელმოწერითაც ცხადდება ეს „ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი“, თუ არა. მართალია, ამ პირის თანამოკალმეთა შორის იმყოფება ვიღაც ილია კუპუხიძეც, მაგრამ მერე რა გამოვიდა. ეს კუპუხიძე ერთ დროს თბილისში, რომელიღაც სასწავლებლის პედაგოგი ყოფილა, შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა და „ქართულ ეროვნულ ლეგიონში“ თავისი ნებით ჩარიცხულა. ვინ იცის, იქნებ ამ ლეგიონის სამხედრო გაზეთ „საქართველოში“ თანამშრომლობა აძლევს ნებას იმსჯელოს აგრე ავტორიტეტულად ქართული ენის სიწმინდეზე? ან რად ღირს თუნდაც დავით უროტაძე, რომლის ბიოგრაფიაც ასლია კუპუხიძის ბიოგრაფიისა. ეს უროტაძე ბოლოს იმდენად გაკადნიერებულა, რომ რაღაც ისეთი მოთხრობაც დაუწერია, რომელიც ბულვარული რომანის ჟანრსაც კი სათოფედაც ვერ გაუკარებია. შემდეგ „ამერიკული კომიტეტის“ საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელობა... შემდეგ „სი-ა-ი-სი“-ს აგენტობა. და ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოსავს მათ დიდი, ძალიან დიდი უფლებით, რომ მთელი მამულიშვილური გრძნობით იზრუნონ იმ ენის უმწიკვლობისათვის, რომელიც თვითონ აღარ იციან.

არა, მკითხველო, მე სრულიადაც არა ვარ იმ აზრისა, რომ უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი ერთად შევაქუჩო განურჩევლად. ქართული კულტურის ისტორია ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ჩვენი დიდი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ამაგს, ათეულ წელთა მანძილზე ლუკმაპურიც რომ უჭირდა, მაგრამ მაინც არ გატეხილა, თვალისჩინივით უვლიდა და იცავდა მენშევიკების მიერ საზღვარგარეთ გატანილ ეროვნულ საგანძურს. ჩვენ ისიც გვესმის, რომ ბევრნი უნებლიეთ აღმოჩნდნენ ჩვენს საზღვრებს მიღმა და, რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ ენაც არ მოგვიბრუნდება.

ჩვენ არ ვხედავთ მათ იმ კამპანიების მონაწილედ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მტრულად რომ არის მიმართული. ეს კამპანიები მრავალგვარია: დაწყებული ვითომდა რაღაც აკადემიური კვლევა-ძიებებით და გათავებული ლორიასებური ღადაობით, რომ ჩვენი ენა რუსიციზმებით ნაგვიანდება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველი ენა (და ქართულიც) მუდამ ცოცხალი, განვითარებადი და გამდიდრების გზაზე მდგარი ორგანიზმია. ზოგიერთების საყურადღებოდ უნდა გავნვაცხადოთ, რომ ჩვენი ქართული ქარხულ ნიადაგზე ვითარდება და ვისაც ფესვები არ დასთხრია ამ ნიადაგიდან, ვურჩევთ გაჩუმდეს. ცნობილია და არც ჩვენ უარვყოფთ, რომ ზოგიერთი სიტყვის შემოჭრა ჩვენს ენაში (მაგალითად, სამოვარი, კალოში და სხვ.) ბუნებრივია. მხოლოდ განუვითარებელი ენა ვერ ახერხებს მოწინავე ენებთან კულტურული ურთიერთობის დამყარებას. ამაღ ფორმათა ჩამოქნა და ენობრივ წყობაში ინტეგრაცია ზოგადნაციონალური საფუძვლების გათვალისწინებით უადრესად კანონზომიერი მოვლენაა ყველა ცოცხალი ენისათვის. რუსული, ინგლისური, ფრანგული და სხვა ენები განა ხშირად არ სესხულობენ მათთვის უცხო ენებისაგან ანა იმ სიტყვას; განა იმათაც არ

იძულებითი პასუხი

დემნა შენგელაია

აღელვებთ „სლენგებისა“ და ნაირნაირი, ჟარგონის შეჭრა მათს ენაში; განა აქაც არ კამათობენ ლექსიკურ ნასესხობებზე, არ დაობენ ამა თუ იმ სიტყვის არაორგანულობის გამო?!

ჩვენც ერთი კულტურული ერთაგანი ვართ და ჩვენც გვაღელვებს ეს პრობლემები, ზემოხსენებული რადიოსამსახურის ბატონებს კი, როგორც ჩანს, სრული შესაძლებლობა ჰქონიათ თვალყური ადევნონ ჩვენს პრესას. ამას თუნდაც ისიც მოწმობს,—საკმარისია აქ კამათი წამოვიწყოთ ჩვენს ენაზე, მისი განვითარებისა და სიწმინდის გამო, რომ ისინიც იქვე ჩნდებიან. ნაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია. განა ჩვენში, საქართველოში, არ ამბობენ, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?

აქა გადაშალეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. განა არ ხედავთ ჩვენი მწერლების, მეცნიერების, პედაგოგების და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა გამოსვლებში, რა ცხარედ და გულმხურვალედ განიხილავენ ჩვენი მშობლიური ენის პრობლემებს?! არაერთხელ მდგარა ეს პრობლემა მწერალთა კავშირის დღის წესრიგშიც. აი ახლახანს შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომა ამავე საკითხის გამო, რომლის ანგარიშიც გაზეთებში გამოცხადებული იყო შემდეგი სათაურით: „დედაენის სიწმინდის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა“. ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ, ხშირად მოგისმენიათ თუ არა თქვენ, ბატონო ლორია, ასეთი რამ მანდ, დასავლეთში?

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დეპუტატებს მოჰყავდათ გაუმართლებელი რუსიციზმების მაგალითებიც ჩვენი ყოველდღიური მეტყველებიდან და მოითხოვდნენ მეტ დაკვირვებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ რუსული ენის „ექსპანსიასთან“ კი არა გვაქვს საქმე, არამედ ზოგიერთი პირის უცოდინარობასთან. ჩვენ დიდად გვაფასებთ მშვენიერ და ღიერ რუსულ ენას, საეროვნებათაშორისო მნიშვნელობის ენას ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში, ენას, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე გამოჰყავს ჩვენი მწერლობა, დიდი რუსული ლიტერატურის ენას, მაგრამ ჩვენში, ისევე როგორც საბჭოთა ქვეყნის ყოველ რესპუბლიკაში, სახელმწიფო ენა მშობლიური ენაა, დედაენაა.

რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა? აი ამისი სურათიც: ჩვენში პირველად გამოიცა რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი თანამედროვე ქართული ენისა, რომლის ლექსიკური ფონდიც 113 ათასი ქართული სიტყვაა; პირველად მზადდება ქართული ენციკლოპედიის მრავალტომეული; პირველადვე გამოვიდა რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული; დამუშავებულია მეცნიერებისა და ტექნიკის ოცდათხუთმეტგვარი ლექსიკონი, სადაც შესულია ისეთი დარგები, როგორიცაა საავიაციო, ავტოსატრაქტორო, მშენებლობის, აღმრიცხველ-სტატისტიკური, რადიოელექტრონიკის, სამედიცინო, იურიდიული და სხვა; დაწყებულია თანამედროვე ქართული ენის ნორმათა კრებულების პერიოდული გამოცემები. საქართველო წერა-კითხვის მთლიანმცოდნეთა რესპუბლიკაა. ჩვენში 2972 ქართული სკოლაა, ხოლო დანარჩენში ქართული ენა სავალდებულო საგანია. ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების მქონეთა ინდექსი უდიდესია მთელ მსოფლიოში: ყოველ ათას კაცზე 38 უმაღლეს სწავლამიღებული მოდის. უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვმა 1-დან 18-ს მიაღწია. საქართველოში 15 ათასზე მეტი სამეცნიერო მუშაკი მოღვაწეობს, მათ რიცხვშია ათას ხუთასზე მეტი სპეციალისტ-ფილოლოგი. ჩვენი ქართველოლოგიური სკოლა საქვეყნოდ არის განთქმული. ჩვენს ეროვნულ სამეცნიერო აკადემიაში, გარდა ფილოლოგიური დისციპლინების სპეციალისტებისა, წარმოდგენილია ქართული მწერლობაც. მის ნამდვილ წევრთა შორის იმყოფებოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ამჟამად არიან კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

მაგალითის მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა და ყოველ მათგანზე „პირველად“ უნდა მეთქვა. ამასთანავე ეს ცნობები ძველია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე ეს რიცხვები კიდევ უფრო იმატებენ.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში გადაჭრილია ყველა მტკივნეული საკითხი. ამის გამო ჩვენ ვეკამათებით ერთიმეორეს, ვდავობთ, ვწერთ. ბევრ ეჭვს აღძრავს, მაგალითად, არქაიზებული, ხელოვნური და ცხოვრებას მოწყვეტილი ენის აღდგენის ცდა. დავას იწვევს აგრეთვე დიალექტიზმების შემოტანა ქართულ ლიტერატურაში. ცხარე პოლემიკის საგანია — შემოვიღოთ თუ არა ასომთავრული. საგანგებო კომისია მუშაობს ახალი შრიფტის დადგენაზე. დგას საკითხი — შევიტანოთ თუ არა ძველი ქართული საშუალო სკოლის პროგრამაში. მაგრამ ამ საკითხებს როგორმე ჩვენვე მოვუვლით და არავითარი არამკითხველების დახმარება არ გვჭირდება.

ჩვენს რესპუბლიკაში განუწყვეტლივ მუშაობს თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია. ის არსებობს მინისტრთა საბჭოსთან და მას ხელმძღვანელობს მთავრობის თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. ამ კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

დასასრულ მინდა ეს წერილი დავამთავრო სასიამოვნო აკორდით. ამ დღეებში მე ვკითხულობდი შედარებით ახალგაზრდა თანამოკალმეთა ახალ ნაწარმოებებს. რა მოქნილი, გამჭვირვალე და ცოცხალი ენით წერენ-მეთქი, გავიფიქრე სიხარულით. ისინი მართებულად განაგრძობენ თავიანთი უფროსი ამხანაგების საქმეს, ჩვენი ლიტერატურის ძველი ოსტატების საქმეს. ჩვენი დედაენა დიდებულია და მის ზრდასა და განვითარებას საზღვარი არ გააჩნია. ჯერ კიდევ ცნობილმა გერმანელმა ფილოლოგმა რიჰარდ მეკელაინმა თქვა: მეტყველების საშუალებათ ქართული ენა უმდიდრესი ენაა მსოფლიოში და სიტყვათა მარაგით ყველაზე განვითარებულ ენებს არ ჩამოუვარდებაო. მას შესწავლილი ჰქონდა ჩვენი ენა და იცოდა, რასაც ამბობდა. და ეს მარტოხმა კი არ არის, ესაა ხმა, რომელსაც ჩვენ ვაყურადებთ, რადგან ეს ხმა მართალია და ობიექტური.

„ლიტერატურული საქართველო“, 7 აგვისტო.

ნახეთ ეს ფილმი!

არ დაიდარდო



განსაკუთრებული ჰანგები, რომელიც ეკრანიდან იღვრება, არ შეიძლება სხვაში აგერიოთ — იგი ქართულია, თუმცა ფილმს „არ დაიდარდო“, რომელიც რეჟისორმა გიორგი დანელიამ რევაზ გაბრიაძის სცენარის მიხედვით გადაიღო, საფუძვლად ფრანგი მწერლის კლოდ ტილეს რომანი — „ჩემი ბიძა ბენუამენი“ დაედო.

ჩვენი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წიგნში ამოკითხულ ხასიათებსა და ეკრანზე ნანახს შორის მსგავსებათა ძებნას, მთავარია გავერკვეთ, რატომ ვუყურებთ ასეთი დიდი ინტერესითა და თანაგრძნობით ამ ფილმს, რად გვაღელვებს იგი.

უკვე ფილმის სათაურიდან — „არ დაიდარდო“, — ჩანს მისი ოპტიმისტური ფილოსოფია, ნათელი, ქვეყნის იმედიანი თვალით ჭვრეტა. ნუ დაიდარდებ, მთლიანად შეძელი ცხოვრების მიერ ბოძებული სიკეთის გამოყენება, დატკბი შის მიერ მონიჭებული ბედნიერებით, არ გაუტყდე ჭირ-ვარამს—გვეუბნებიან ფილმის ავტორები. თუმცა ცხოვრება ერთფეროვანი როდია. ბედნიერებას ავბედითობა ცვლის, სიცილს — ცრემლები, მაგრამ... ნუ დაიდარდებთ! ისწავლეთ ცხოვრებაში კეთილისა და ლამაზის ძიება და პოვნა.

მოვლენები ვითარდება ფილმის გმირ ექიმ ბენუამენ ლლონტის ირგვლივ, მის სახელს უკავშირდება ყოველივე, რაც ეკრანზე ხდება. ეს ის გმირია, რომელშიც გაერთიანებულია ტალანტი, გონიერება, ცხოვრების უზომო სიყვარული და ადამიანისათვის დამახასიათებელი სისუსტე. იგი არ არის შეჩვეული ხვალინდელ დღეზე ფიქრს. თითქოსდა ბენუამენს არ აღელვებს არც თავისი საექიმო კარიერა, არც ვალები, არც ის, რომ იგი უკვე ასაკში შესული მამაკაცია და ზედმეტად სარგებლობს დის გულკეთილობით, რომელსაც ისედაც დიდი ოჯახი აწევს კისერზე. მას არც შეუძლია და არც უნდა რამეში შეზღუდოს თავისუფლებასა და უდარდელობას მოყვარული საკუთარი პიროვნება.

ბენუამენის როლის შესრულება რეჟისორმა ესტრადის ცნობილ მსახიობს — ვახტანგ კიკაბიძეს მიანდო და არც შემცდარა. კიკაბიძის ბენუამენი არა მარტო კეთილი და მოსიყვარულეა, არამედ თავისებურად პრინციპული ტიპიც. ფილმის გმირს ნაკლებად იზიდავს კომპრომისი და შემგუებლობა. იგი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამით საკუთარ სახესა და სულიერ სიმდიდრეს ინარჩუნებს.

რეჟისორ გიორგი დანელიას მაყურებელი იცნობს ადრე გადაღებული ფილმებიდან: „სერიოჟა“ და „დავბრიჯნე მოსკოვის ქუჩებში“. და აი ახალგაზრდა შემოჭიმედმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

„არ დაიდარდოს“ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ისეთ მსახიობებს, როგორიც არიან სერგო ზაქარიაძე, სოფიკო ჭიაურელი, ანასტასია ვერტინსკაია, სერგეი ფილიპოვი და ევგენი ლეონოვი. მათ მიერ შექმნილი გმირები არა მარტო მხიარულობენ, სვამენ, ცეკვავენ, არამედ განიცდიან, იტანჯებიან, დარდობენ, იხოცებიან.. და იქმნება ფილმი, რომელშიც ბუნებრივად არის გადმოცემული ცხოვრებისეული აღმაფრენა თუ დაცემა, დრამატული თუ კომიკური მომენტები.

უველაზე ძლიერად ტრაგიკული თემა სერგო ზაქარიაძის მიერ მოხუცი ექიმის ლევანის როლის შესრულებისას იგრძნობა. გოლიათური აღნაგობა, ენერგიული მოძრაობა, კეთილი, მხიარული თვალები. განა შეიძლება წარმოიდგინო, რომ ასეთ კაცს უბედურება ან ავადმყოფობა მოერევა? რომ ეს კეთილი ადამიანი ცხოვრებიდან წავა?

იცის ლევანმა, რომ მისი დღეები დათვლილია და აი იგი გადაწყვეტს სიცოცხლეშივე გადაიხადოს ქნელები. მისი სურვილია, ვიდრე ამ ქვეყანას დატოვებდეს, თავი მოუყაროს მეგობრებს, მოისმინოს მათ მიერ სიკვდილის შემდეგ სათქმელი სიტყვები.

უველაფერი ნამდვილი ქელეხის წესების დაცვით მიმდინარეობს: შესანდობარს შესანდობარი ენაცვლება, მაგრამ ცოტაც და ცხოვრების თავისი გააჭვს. აჭა-იქ გაისმის სიცილი, ვიღაცა ხუმრობს, ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო... ჭირის სუფრა თანდათან ლხინის სუფრას ემსგავსება და ასე გგონია, ლევანის დაუინებულ მზერას ამ ცხოვრებისეული ჭეშმარიტების აღქმა სურს, რათა სამუდამოდ თან გაიყოლიოს. დიახ, ეს ნამდვილი მწუხარებაა, მაგრამ ფილმში, ისევე როგორც ცხოვრებაში, მწუხარებას მხიარულება ცვლის.

უყურებ ფილმს და ცხოვრების მუდმივ მოძრაობას გრძნობ. ყოველგვარი ბოროტების მიუხედავად იგი ძალზე კარგია. კაცმა რომ თქვას, ეს აზრი ფილმს დასაწყისშივე გვირგვინად ადგას, როდესაც იგი ადამიანებს კეთილი სიტყვებით მოუწოდებს, არ დაიდარდოო.

აი რატომ არის, რომ ფილმი, რომელიც გაკეთებულია XIX საუკუნეში დაწერილი წიგნის სიუჟეტის მიხედვით, დღეს ასე ძლიერად გვაღელვებს. აი რატომ იყო, რომ მკაცრმა უიურიმ X საერთაშორისო კინოფესტივალისა, რომელიც არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში მიმდინარეობდა, ჰუმანიზმის, იუმორისა და ნათელი სახეების შექმნისათვის ფესტივალის პრიზი „კონდორი“ ერთსულოვნად მიანიჭა კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და „მოსფილმის“ მიერ გადაღებულ მხატვრულ ფილმს — „არ დაიდარდო“.

ნატალია იგნატიევა,
მოსკოველი კინოკრიტიკოსი.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან.

სპორტი



სურათზე: საასპარეზოდ მიმავალ მამას — ალექსანდრე მეტრეველს პატარა ირაკლი აცილებს.

დიმიტრი მძინარაშვილის ფოტო

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი

ევროპის მოყვარულ ჭოგბურთელთა II ჩემპიონატი, რომელიც სოფიაში მიმდინარეობდა, ალექსანდრე მეტრეველის ტრიუმფით აღინიშნა. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტმა ოქროს სამი მედალი მოიპოვა.

ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში ალექსანდრე მეტრეველმა რუმინელი მარმურიანუსი დაამარცხა, ხოლო ფინალში — უნგრელი ბარანიისი.

შერეულმა წყვილმა — მეტრეველმა და მოროზოვამ — ფინალში იზოპაიტისსა და ლიხაჩოვს ძლია. ოქროს მესამე მედალი მეტრეველმა ბაქოელ ლიხაჩოვთან ერთად მოიპოვა. მათ ფინალში ლეიუსისა და კოროტკოვის წყვილს მოუგეს.

ორი ოქრო და ერთი რეკორდი

მცირე წარმატებებით უკანასკნელ ხანს უფრო და უფრო ხშირად გვახარებს თინა ლეკვეიშვილი. თბილისელმა მოსწავლემ ლვოვის ცენტრალურ საცურავ აუზში გამართულ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ოქროს ორი მედალი მოიპოვა. ჯერ იყო და, თინას ბადალი არ ჰყავდა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, დრო, რომელიც ამ მანძილის გაცურვას მოანდომა — 1.09,0 — ყველასათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. და აი მეორე დღეს ლვოვიდან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა — ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა პირველობა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოიპოვა. მის მიერ ნაჩვენები დრო — 2.29.2, ქვეყნის წინანდელ რეკორდზე 0,4 წამით ნაკლებია.



სურათზე: თინა ლეკვეიშვილი და მისი მწვრთნელი მარგალიტა ტატიშვილი.

სპორტული ქრონიკა

● კაუნასში, სსრ კავშირის პირველობაზე სასტენდო სროლაში, კარგად იასპარეზა სოხუმელმა კარლო დარასელიამ. წყვილ სამიზნეზე სროლაში 50 შესაძლებლიდან 34 ქულა დააგროვა და მკერდი ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა.

● დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ვაჟთა გუნდებს შორის ჯალათბურთში. თბილისის „დინამო“ 16 ქულით მე-7 ადგილზეა, ხოლო „ჭარიშხალამ“ 9 ქულით მეათე ადგილი დაისაკუთრა.

● სსრ კავშირის პირად-გუნდურ საუწყებო ჩემპიონატში ქვეყნის უველა საუკეთესო ტყვიის მსროლელი ჩაება. გაგვახარა თბილისელმა მარლენ პაპავამ. მან პისტოლეტით სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

● რიგაში გაიმართა ამხანაგური მატჩი თბილისისა და რიგის ჭალთა ნაკრებ გუნდებს შორის. თითოეულ გუნდში ექვსი მოჭადრაკე შედიოდა. ჩვენს გუნდს აკლდნენ ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. მიუხედავად ამისა, ასპარეზობა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 22,5:13,5 ქართველ მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

მეხუთედ და... უშედეგოდ

სსრ კავშირის თასის ფინალში თბილისის „დინამო“ მეხუთედ გავიდა. თავისთავად ეს ფაქტი ბევრის მთქმელია. იგი პირველ რიგში ქართველ ფეხბურთელთა აღიარებულ სიძლიერეზე, მათ საერთო პოტენციალზე მიგვითითებს. მაგრამ სუთჯერ ითამაშო ფინალში და ვერც ერთხელ ვერ მოიპოვო თასი, სხვა რომ არაფერი, უბრალოდ გულდასაწყვეტია. როგორც წესი, დინამოელები გადამწყვეტ პაექრობაში კარგ თამაშს გვიჩვენებენ და მოედანს... დამარცხებული ტოვებენ.

ასე იყო ამჯერადაც. მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თავმეყრილმა 100 ათასმა მაყურებელმა ქართველი ფეხბურთელების ჩინებული თამაში იხილა. მატჩის მეორე დღეს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „თუ ფეხბურთელებს ნიშნებს ლამაზი თამაშის მიხედვით დავუწერდით, რა თქმა უნდა, თბილისელთა უპირატესობა საგრძნობი იქნებოდა“.

სამწუხაროდ, მარტო ლამაზი თამაშით მატჩის მოგება არ შეიძლება. თბილისელმა თავდამსხმელებმა დაივიწყეს ყველაზე მთავარი — ბურთების გატანა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ერთადერთი სპასუხო ბურთი მოწინააღმდეგის კარში თავდამსხმელმა კი არა, მარცხენა მცველმა შოთა ხინჩიკაშვილმა მოათავსა. თუმცა რაღა შორს მივდივართ. ფინალურ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც ჩვენი ქვეყნის პირველობაზე თბილისის „დინამო“ ბაქოს „ნეფთჩის“ ეთამაშებოდა, ბურთი, რომელმაც თბილისელებს გამარჯვება მოუტანა, თამაშის დამთავრებამდე 30 წამით ადრე მოწინააღმდეგის კარში ცენტრალურმა მცველმა მურთაზ ხურცილავამ გაიტანა.

მაშ ასე. თბილისის „დინამომ“ მეხუთედ გაუშვა შესაძლებლობა გამხდარიყო ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი. მატჩი მოსკოველ თანაკლუბელებთან მათ ანგარიშით 1:2 წააგეს. ახლა „დინამოს“ გულშემატკივართა იმედები სსრ კავშირის ჩემპიონატისაკენ არის მიპყრობილი. უნდა ვიფიქროთ, რომ დინამოელები, რომლებიც დაკარგული ქულების მიხედვით დღეისათვის მეორე ადგილზე იმყოფებიან, ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას შეეცდებიან. თუ რამდენად რეალურია ამგვარი მოსაზრება, ამას ბურთი და მოედანი გვიჩვენებს.

ხაგეძებენ, მოგელიან

ლეონტი გიორგის ძე ღვინერიას,

დაბადებულს 1921 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიშში, ეძებენ დედა — **ნინოფადორა,** ძმისწული — **ნუნუ (ლულუ) ღვინერიები,** მცხოვრებნი სამტრედიაში, წერეთლის II ჩიხი № 3.

ძმებს რუბენ, მიხეილ, სერგო ჰელიძეებს,

დაბადებულთ 1902, 1914 და 1921 წლებში ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვედა შავრში, ეძებენ დები — **თამარ, მარო, ლენა,** ძმები — **გერონტი, ვაჟა ჰელიძეები,** მცხოვრებნი ქვედა შავრში.

შალვა მიხეილის ძე ბატიაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, ეძებენ მეუღლე — **დარეჯან ძიძიშვილი,** შვილი — **დათო,** შვილიშვილები — **ლია** და **შალვა,** დები — **თამარ** და **ლიზა,** ძმა — **ნიკო ბატიაშვილი,** მცხოვრებნი ქალაქ სიღნაღში, ორჯონიკიძის ქუჩა № 23.

სევერიან ალექსანდრეს ძე ვარდანიძეს,

დაბადებულს 1908 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორში, ეძებენ მამა — **ალექსანდრე,** დედა — **დესპინე,** ძმები — **გრიგოლ, დავით ვარდანიძეები,** მცხოვრებნი წყალტუბოში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 33.

ვლადიმერ იოსების ძე მუხურაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ქუთაისში, ეძებენ დები — **ევგენია (უენია), შურა, ქეთო,** ძმისწული — **ეთერ მუხურაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, საბჭოს ქუჩა № 60.

ოთარ ვლადიმერის ძე შათირიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში, ეძებენ დედა — **ვერა,** მამა — ვლადიმერ, ძმა — **ჟანია შათირიშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ციხესულორში.

მუშნი ლავრენტის ძე ონიანს,

დაბადებულს 1914 წელს ქვემო სვანეთის (ამჟამად ლენტეხის) რაიონის სოფელ ჟახუნდერში, ეძებს ძმა — **მიტო ონიანი,** მცხოვრები ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდერში.

სიმონ ალექსანდრეს ძე გელაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ადიგენის რაიონის სოფელ უდეში, ეძებენ მეუღლე — **მარიამი,** შვილი — **ალექსანდრე,** რძალი — **ქრისტინე,** შვილიშვილები — **სიმონ, ზაური, იამზე, ბადრი გელაძეები,** მცხოვრებნი სოფელ უდეში.

ვახტანგ სპირიდონის ძე ლებანიძეს,

დაბადებულს 1923 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **გოგუცა,** მამა — **მიხეილი,** და — **ეთერი,** მცხოვრებნი თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩა № 24.

აკაკი ანტონის ძე ესებუას,

დაბადებულს 1924 წელს სამტრედიაში, ეძებს და — **ბაბილინა ანტონის ასული რობაქიძე,** მცხოვრები ქალაქ სამტრედიაში, გორკის ქუჩა № 1.



ქართული სამზარეულო

ტაფა „სალხინო“

ერთი-ორი კილოგრამი მსუქანი ცხვრის ხორცის მთლიანი ნაჭერი (ბარკალი, ბეჭი ან ზურგის მხარე) გარეცხეთ და მოაყარეთ მარილი ყოველი მხრიდან. რვა ცალი საშუალო სიდიდის კანიანი ბადრიჯანი გარეცხეთ, თითოეული ჩაჭერით დანით შუაში ხუთი-ექვსი სანტიმეტრის სიგრძეზე. ოცდაათი გრამი დუმა დაჭერით პატარა ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, დანაყილი პილპილი და, თუ გსურთ, წვრილად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილი. ასეთნაირად გამზადებული დუმის ნაჭრით ამოავსეთ თითოეული ბადრიჯნის ჩაჭრილი სივრცე, რომელშიც წინასწარ ცოტა მარილი უნდა ჩაიყაროს. მარილმოყრილი ხორცი მთლიან ნაჭრად დადეთ ტაფაზე და შედგით ცხელ ღუმელში შესაწვავად. შეწვის დაწყებისას ტაფაზე დაასხით ცოტა მდუღარე წყალი, შემდეგ კი ხანგამოშვებით ასხით ხორცს ჯერ ცოტ-ცოტა მდუღარე წყალი, მერე კი ტაფაზე წარმოქმნილი წვენი, ხშირად შეუცვალეთ მდებარეობა, რომ ყოველი მხრიდან კარგად შეიწვას. შვიდი-რვა ცალი კარტოფილი დაჭერით დიდ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და შეწვის პროცესში ხორცს შემოუწყვეთ. შემოუწყვეთ აგრეთვე გამზადებული ბადრიჯანი, პაპარ-პაპარა სიდიდის მთელ-მთელი ხაჭო (200 გრამი), ექვსი ცალი პამიდორი, შეგიძლიათ ახალი ტყემალიც (ერთი ჩაის ჭიქა) დააყაროთ. როცა ხორცი შეიწვის, ღუმელიდან გამოიღეთ და სუფრაზე მიიტანეთ ფატით მთლიანად. შეიძლება შემწვარი ხორცი დაჭრათ თხელ ნაჭრებად, დაალაგოთ ლანგარზე, მოასხათ თავისივე წვენი, გარშემო შემოუწყო შემწვარი კარტოფილი, ბადრიჯანი, პამიდორი, ხახვი, ტყემალი, მორთოთ ოხრახუშის გაფოთლილი ღეროებით და მიიტანოთ სუფრაზე. ცალკე ჭურჭლით მიიტანეთ ტყემლის, ღოღნიშოს, შვინდის ან სხვა შესაფერისი საწებელი.

აჯიკა

ერთი კილოგრამი ცხარე მწვანე წიწაკა, 600 გრამი ტკბილი მწვანე წიწაკა, 250 გრამი ნორჩი უთესლო კომა, 250 გრამი ქინძის, 250 გრამი ოხრახუშის, 150 გრამი ნიახურის გაფოთლილი ღეროები და გემოვნებით ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. შემდეგ დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, ღვინის ძმარი (გემოვნებით) და კარგად აურიეთ. მიღებული მასალა მოათავსეთ ქილაში ისე, რომ $^3/_4$-ით შეავსოს, მოუკარით თავი და შეინახეთ მშრალ, გრილ ადგილას.

ასეთივე წესით მზადდება აჯიკა წითელი წიწაკისგან. მასალის რაოდენობა იგივეა, ოღონდ ემატება 1 სუფრის კოვზი დანაყილი სურნელი.

გამარჯობათ, ფრანგებო!




ჯანსუღ ჩარკვიანი აღიარებული ახალგაზრდა ქართველი პოეტია. რედაქტორობს ახალგაზრდობის ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „ცისკარს“. არის საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

პოეტის პირველი კრებული „მრთი ღამის სიჩუმეში“ 1959 წელს გამოიცა. გამოქვეყნებული აქვს ლექსები-სა და პოემების თორმეტი წიგნი. განსაკუთრებული აღიარება მოუტანეს კრებულებმა: „ამოდის, ნათდება“, „ცა და შადრევანი“, „ფერადი მრიდიანები“, „ბრძოლი დრეფანი“.

მალე წიგნის თაროს დაამშვენებს მისი ახალი წიგნი „მზის მოსავალი“.

ჯანსუღ ჩარკვიანის ბევრი ლექსი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. იბეჭდება გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის ჟურნალ-გაზეთებში.

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს ვთავაზობთ პოეტის ლექსებს ციკლიდან „გამარჯობათ, ფრანგებო!“



ქანქინჭა

ჭალაქ მარსელში
მეზღვაურთა ლამაზ ქალაქში,
მაღალ კედელთან
მიაყუდეს შანუნტას მამა.
მანუნტას მამა,
იმ კედელზე უფრო მაღალი,
მოკლეს და წუთში უსამველოდ
მაღალი გახდა.
დიდი თვალებით,
ზღვაზე უფრო დიდი თვალებით
და მზის თვალებით უყურებდა
მანუნტა მამას.
მერე დახუჭა სიმწრისაგან
წამით თვალები
და სისხლიანი მკვლელის სახე
დაიმახსოვრა.
იმ დღეს დიდ გემებს
მამამისის სახელი ერქვა,
...და ყველას გულში
მამამისის გული ფეთქავდა.
და როცა პორტი
გმირის სახელს აწერდა გემებს,
მაშინ მანუნტა
მკვლელის სახეს იზეპირებდა.
მამა კი არა,
არა ძმებო, მამა კი არა,
როგორ გავაცნო მთელ ქვეყანას
ჯალათის სახე,
რომელიც მოჰკლავს
შვილს და მერე
სისხლს დალევს მისას,
როგორ გავაცნო საუკუნეს
იმ კაცის სახე...
და მამის სისხლმა უკარნახა
თითქოს მანუნტას
და მამის სისხლმა ჩააგონა
მანუნტას თითქოს,
იყიდა მერე
ღამესავით შავი ფანქარი
და თეთრ ქაღალდზე
მამის მკვლელის სახე დახატა.
მკვლელი დახატა
სისხლიანი და შემზარავი,
ერთხელ დახატა,
ორჯერ, სამჯერ,
ასჯერ დახატა...
მას შემდეგ უკვე
ოცდაერთი წელი გავიდა,
მაგრამ მანუნტა
ხატავს მხოლოდ ჯალათის სახეს.
ხატავს სისხლიანს,
ხატავს ლამაზს,
ხატავს ქალებში...
ხატავს ბავშვებში,
ვარდებთან და ქრისტესთან ხატავს
და ყოველ ნახატს აწერია —
„ეს არის კაცი,
რომელმაც მოკლა მამაჩემი
ორმოცდასამში“.
ხატავს კუშიანს,
ხან ღვთიშობლის ტაძარში ხატავს,
პურის ძნებთან და
ზეთისხილის ბაღებში ხატავს,
ხატავს და ყიდის,
გახელებით ხატავს და ყიდის,
რომ საუკუნეს
მკვლელის სახე არ დაეკარგოს.
ქალაქ მარსელში,
მეზღვაურთა ლამაზ ქალაქში
არის მანუნტა,
მამის მკვლელის დიდი მხატვარი.
ყველა მის ნახატს აწერია:
„ეს არის კაცი,
რომელმაც მოკლა მამაჩემი
ორმოცდასამში“.

1964 წელი. პარიზი-თბილისი.

შეხვედრა დოკერებთან

ძმაო ფორტუნე,
მხეცივით კაცო,
დოკერი ხარ თუ
კაი ბოკვერი,
აჰა, ეს ჩემი
ქართული ყანწი,
დამილიე და
ისე მომყევი.
დიდი ხმა გაქვს და
შენ ვერ იმღერებ,
შენ ვერ იმღერებ,
შენ „შანტერ აპა“,
მე ვენაცვალე
მართლა იმ ხელებს,
რომელმაც ჩემი
ყანწი ჩაყლაპა.
კიდევ დამისხი
შენი „რიკარდი“
და ამიჭაფე
ცივი ყინულით.
იჭნებ რიკარდმაც
კი არ იკადროს
ჩვენი ძარღვების
სისხლის ყივილი.
ნეტა სიმღერა
ქვეყნად სულ იყოს.
შენ იცი მადლი
სავსე ღვინისა,
ეს გაუმარჯოს
ჩემს ტკბილ „სულიკოს“
და გაუმარჯოს
„მარსელიოზას“.
ძმაო ფორტუნე,
მხეცივით კაცო,
დოკერი ხარ თუ
კაი ბოკვერი,
აჰა, ეს ჩემი
ქართული ყანწი,
დამილიე და
ისე მომყევი.

ქარიწა

მე გზებს ვენდობი
და ზღვებს ვენდობი,
და თეთრ გემებზე ღიმილს ვაგროვებ,
შენ დროშასავით დგახარ ბენდოლში
და შენ უმაღლეს ანძას მაგონებ.
მე გზებს ვენდობი
და ზღვებს ვენდობი,
ზღვებს ანათებენ თეთრი კბილები
და შენი ფიქრის ლურჯი ფერდობი,
დამშვენებულა ზეთისხილებით.
დავიწყებული დღეები თვლემენ,
მაგრამ ბორგავენ ზღვის
აჩრდილებით,
მიაქვთ სიმღერა პატარა გემებს
და ყვავილებით მიაცილებენ.
მიაქვთ სიმღერა პატარა გემებს,
როგორც ზღვისა და ღამის დუმილი,
ნაპირზე რჩება სიცოცხლის გემო,
და საყვარელი ქალის სურვილი.
ჯარინა, შენი მაღალი მამა,
მაღალი, როგორც ლურჯი საღამო,

რენე სავაჟს, ესკადრილიის „ნორმანდია-ნემანის“ წევრს.

ჯარინა, შენი მაღალი მამა,
სიყვარულმა და ომმა დაღალა.
ჯარინა, იგი ისვენებს ახლა,
მაღალი,
გმირი,
მკაცრი,
კეთილი,
და ზღვას, რომელსაც გრიგალი
ახლავს,
ნიჟარებში პყავს გამოკეტილი.
აუუ!.. ყვირიან თეთრი გემები,
აუუ!.. ჯარინა თითისტოლია,
ბენდოლი წითელ მზეს ეგებება,
ჯარინა პორტში ითვლის თოლიებს.
აუუ!... ყვირიან თეთრი გემები,
მორჩა, გრიგალებს ვერ ახილავენ,
ბენდოლი წითელ მზეს ეგებება,
დამშვენებული ზეთისხილებით.





ჯანდრო მამასახლისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელია.

პრესაში გამოქვეყნებულ მის წერილებს, ნარკვევებსა თუ ფოტორეპორტაჟებს მკითხველი ყოველთვის ინტერესით ეცნობა.

როგორც ყველა ჟურნალისტი, სანდრო მამასახლისიც ბევრს მოგზაურობს. ამჯერად გთავაზობთ საფრანგეთში ყოფნისას გადაღებულ მის რამდენისამე სურათს.

რედაქტორი ვაჯტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188.

ფასი 6 კაპ.